რედაქცია

[გოლოვი]ნის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ[ში, კლ]უბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

[მიი]ღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუ[თაისში] ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე [მცხოვ]რებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак[цію] „Дроэба".

„დროების" ფასი:

[მთელი] წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
[ექვსი] თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

[წვრ]ილის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [დიდი ასოებით] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივ [...] ზე 8 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკენომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## ნახევარ წლის ხელის-მოწერა.

[იან]ვარის წლით, ე. ი. 1 ივლისიდამ 1882 წლის დამლევამდინ

## „დროება"

ღირს გაგზავნით 5 (ხუთი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მ[უხრა]ნსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## სალიანის

თევზეულის მაღაზიაში

[ახ]ალი იყიდება თევზეული: ჯირიმის [...]ში, იანი და ფათმაიის მთელი ზუ[...] [ხიზი]ლი გირვანქა ხუთ-ხუთ შაურად. [მაღა]ზია იმყოფება თამამშოვის ქარ[ვასა]ლის ქვეშ. (3—1)

## ტელეგრამმა

(„სიღნახ-მირის ტელეგრაფის სააგენტოსი")

[პ]ეტერბურღი, 22 ივნისს. „გო[ლ]ოსში" დაბეჭდილია: გლეხების საქ[მ]ების თაობაზედ ახლად-გახსნილ კა[მ]ისიამ დაიწყო სხდომები სენატში. [კამ]ისიას შეადგენენ: ჩერნიავსკი, ბა[...]ოვი, შულცი, კუდრიავცევი, ნე[კრა]სოვი და სიმიონოვი, თავსმჯდო[მარ]ე გედდა, ობერ-პროკურორი—[მ]ურომცევი.

[პ]ოლიციის ზედამხედველობის ქვეშ [მყო]ფ პირების საქმეთა თაობაზედ [და]დგენილმა კამისიამ თუმცა თავის [პირ]-და-პირი მოვალეობა შეასრულა, [მაგ]რამ ეს კამისია მაინც ჯერ-ჯერო-ბით არ გაუქმდება, იმას მიენდობა ყველა იმ პოლიტიკურ დამნაშავეებას საქმე, რომელნიც პოლიციის ზედამხედველობით იქნებიან სადმე გაგზავნილნი.

კახანოვის კამისიაში მოწვეულნი არიან სენატორები: ბარიკოვი და სემიონოვი.

პეტერბურღის ფრანცუზული ოფიციალური გაზეთი გვაცნობებს, რომ ორი მუხლი საბოლოოდ გარდაწყვიტა სტამბოლის კონფერენციამო: ა) სანამ კონფერენცია არ გათავდება, მანამ ევროპის ვერცერთი სახელმწიფო ვერ გაგზავნის თავის ჯარებს ეგვიპტეში და თუ გაგზავნეს, მხოლოდ მაშინ გაგზავნიან, როდესაც ხელ-ახლად მოხდება იქ რაიმე უწესოება, ისიც თავიანთ თანამემამულეების დასაცველად; და ბ) თუ ეგვიპტეში საჭიროდ შეიქნა ჯარების გაგზავნა, ჯერ ოსმალეთს მისცემენ წინადადებას, რომ იმან გაგზავნოს თავის ჯარები და თუ, იმან არ გაგზავნა, მხოლოდ მაშინ იხმარს ევროპა ჯეროვან საშუალებას.

[პ]ეტერბურღი, 22 ივნისს. დღეს გარდაიწვა სრულიად ქალაქს გარე თეატრი „არკადია". ცეცხლი რეპეტიციის დროს დაიწყო. ხალხი არავინ დაღუპულა.

პეტერბურღის ბირჟა, 22 ივნისს.

| | | |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი გამოცემისა— | 94— | $^1/_2$ |
| მეორესი— — — — | 90— | 50 |
| მესამესი — — — — | 90— | 62$^1/_2$ |
| მეოთხესი — — — | 90— | 37 |
| მეხუთესი — — — | 90— | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ.— | 89— | $^1/_2$ |
| აღმოსავლეთის მეორე | 89— | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე | 88— | 87$^1/_2$ |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი | 8— | 28 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 219— | 50 |
| მეორე სესხის — — | 211— | $^1/_2$ |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24— | 06 | პენსი |
| ჰამბურღი — | 206— | „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 253— | 25 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |

## ქართველები საშუალ სასწავლებლებში

ტფილისი, 23 ივნისს.

ამას წინათ, „დროების" 125 ნომერში, დაბეჭდილი იყო შემდეგი პატარა ამბავი:

„ტფილისის კლასიკურს გიმნაზიაში წლეს სულ შვიდმეტ ყმაწვილ-კაცს შეუსრულდება სწავლა; ამათში ცხრა სომეხია თურმე, შვიდი რუსი, ერთი ნემეცი და ქართველი კი... არც ერთი".

ამ სიტყვებს განმარტება არ ეჭი[ი]რება, უჩვენოთაც ადვილად მიხვდება მკითხველი—თუ რამდენად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იმ სასწავლებელში, რომელსაც ერთ დროს „ქეთილშობილთა სასწავლებელი" ერქვა და რომელიც თითქმის მხოლოდ ქართველ თავად-აზნაურთა შვილებისათვის აღსაზრდელად იყო გახსნილი, არცერთი ქართველის შვილი არ ათავებს სწავლას. ამ ფაქტს განმარტება არ ეჭირება-მეთქი, ვამბობთ, მაგრამ ვერ მოვეითმენია ორიოდე მოსაზრება მაინც არ წარმოვსთქვათ ამ საგნის შესახებ.

უველაზე პირველად უნდა ვიკითხოთ: რისგან არის, რომ ჩვენი შვილები ვერ ასრულებენ სწავლას საშუალ სასწავლებლებში და რუსებისა და სომხების შვილები კი? რა მიზეზია, რომ გიმნაზიების პირველ კლასებში ნახევარზე მეტი თუ არა ნახევარი შაგირდები მაინც ქართველები არიან და მერვე კლასამდინ ამათგან ხშირად ვერც ერთი ვერ მიაღწევს ხოლმე? სწავლის სურვილი ვაკლია, ნიჭი, თუ სხვა რამ გარეშე მიზეზია?

ჩვენდა საბედნიეროდ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ, ქართველებს, არც ნიჭი გვაკლია და არც სწავლის სურვილი. მაგალითები ამის დასამტკიცებლად ათასია: ვისაც კი ქართველ ყმაწვილთაგანს რიგიანად დაუდვია სწავლის საფუძველი, ყველას ადვილად და სხვებზე ნაკლების საფუძვლიანობით არ შეუძენია უმაღლესი განათ-

„დროების" ფელეტონი, 24 ივნისს.

### ორი დღე ქუთაისში.

(დასასრული *)

[ქ]უთაისში გამართული ცოცხალი [სუ]რათები იმითი უპირატესობდნენ [ტ]ფილისისაზედ, რომ ამალა ნაკლე[ბ]ი იყო და პირველი პირნი სურათი[ებ]ი უფრო გარკვევით უდგა თვალ წინ [მა]ყურებელს ტანისამოსი უკეთესათ [ი]ყო შეხამებული, თუმცა ფორმით [ზო]გიძლება ძრიელ არ ეთანხმებოდნენ [ის]ტორიას. თამარ, ტარიელ, ფრიდონ [და] ნესტარ-დარეჯანი; მემკონი ძრიელ [ვე]რ ჩამოერჩებოდნენ თავიანთ სეხნიებს. შვენოდა სურათებში კნეინა [თ]უმანოვისა, მაგრამ ისე კი არა, როგორც ფატმან; არა, ის როგორც [მე]ცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევ[რ]ის მოდნის კარტინკა, შლეიფით და [შ]უბლზე გაკრეჭილის კიკინებით.

საზოგადოთ სურათები თუ არ სჯობდნენ ტფილისისას, ნაკლები არ იყვნენ და კერძოთ კი განშორებით სჯობდნენ. მქესი ნესტან-დარეჯანი (ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, ერთიც ვაი-ვაგლახით ვიშოვენეთ) ერთი ერთმანეთს უჯიბრდებოდნენ სიმშვენიერეში. ჩვენს ქალაქში ხალხი შეიცვალა, ჩვენ ავერიენით ათასი მილეთის წარმომადგენლებში, ჩვენში ათასში ერთს კიდევ ნახავ საქართველოს განთქმულ სიმშვენიერეს.

იმერეთში კი სულ სხვაა. იქ თუ უნაკლებოთ არ შენახულა ჩვენი თვისტომობა, ათასჯერ მომატებულათ მაინც გადარჩენილა სხვა ხალხების ზედ-მოქმედების.

აი თუ გინდა გადახედეთ ამ სხვადა-სხვა ცეცხლებით (ერთის წამით გაგვანათეს) განათებულ ხალხს. თვალები უელავთ, სახე მეტყველობს, ტანი კეკლუცათ უკავიათ. ლაპარაკი სულ ქართულია. „ვეფხვის-ტყაოსნის" შინაარსზე თითქმის ყველა დაახლოვებით ლაპარაკობს.

ზანა ესევე იყო ტფილისში ამავე სურათებზე? წყნარათ ჩამომწკრიებული ხალხი. ამათ სახეზედ რაღაც დაღალულ-დაქანცულობა, ხელებ-ჩამოყრილი, რუსულათ, სომხურათ, ფრანციზულათ ლაპარაკი და ქართული კი სადაა. თუ სურათების მნიშვნელობაზე იცის ვინმე რამე, პატარა რუსული რვეულებიდგან რომელიც ზოგიერთ ხელში უჭირავს და ათვალიერებს.

მეორე დღეს პირველ საათამდინ ძლივს შეგროვდა ღამე-ნათევი ხალხი სააზნაურო სახლში მარშლის ასარჩევათ.

ჩვენმა მარშალმა იმითი დაიწყო თავის კენჭის-ყრა, რომ უკენჭოები ზალიდგან ძალით გარეკა და აქაური კი, როგორც იმერელს შეეფერება უფრო ზრდილობიანათ მოიქცა და მხოლოთ ზოგიერთ მეკენჭის დოკუმენტებს სინამდვილის გარჩევას შეუდგა. ამისი და ამისი დაბეჟღლებით ან თქვენი ცენზი შესაწყნარი არ არისო,

ამისა და ამის დაბეჟღლებით თქვენ მართ-მსაჯულებს ქვეშ ხართო და სხვა. განწირულებმა იწყეს თავის მართლება. შეიქნა დაუსრულებელი და გაუთავებელი ბაასი.

სმენით დაქანცული რიონის პირზედ ჩავედ. იქ ყმაწვილი ქალნი და კაცნი დასეირნობდნენ ჩრდილში და სიამოვნებდნენ რიონის სიგრილით და ერთმანეთის სიმშვენიერით. ქუთაისში, როგორც საზოგადო კრებაში, ისე ყოველგან ქალსა და კაცს შუა დიდი კავშირი სუფევს. მაშინ, როდესაც ტფილისში ქალებს შეგვეძლო კაცების მზერა მხოლოთ მაღლა ჩარდახიდგან (რა ექნათ, აზიურ ჩვეულებას ფესვი, მაგრათა აქვს ჩვენში).

ბიჟიქ კუნჭულში და ეადარებდი ერთმანეთს, ბუნებას, ადამიანს და ადამიანს ბუნებას. ორთავე მშვენიერათ მეჩვენებოდა და ვსტკბებოდი. ოხ, ზნეობაც რომ ეჯიბრებოდეს მშვენიერებით ფიზიკურ მშვენიერებას! მაგრამ უნდა ვიიმედოთ: „მშვენიერ გვამ-

*) იხ. „დროება" № 129.

ლება; ვინც იცის — თუ რამდენი ქართველი შაგირდები გროვდება ყოველგვარ ჩვენებურ სასწავლებლებში, და ვინ არ იცის ეს, იმათთვის საჭირო არ არის იმის თქმა, რომ ქართველებს სწავლის სურვილი და დიდი სურვილიცა აქვსთ.

მაშ, თუ სწავლის სურვილიცა გვაქვს, თუ ნიჭსაც არა ვართ მოკლებული, რა არის მიზეზი, რომ ასე ცოტა ქართველებიასრულებენ სწავლას ჩვენს გიმნაზიებში და, მაშა სადამე, ასე ცოტას ეძლევა საშუალება უმაღლესის სწავლის მიღებისა.

მიზეზი გახლავთ ის გარემოება, რომ თავიდამვე, დასაწყისიდგანვე ჩვენს შვილებს რიგიანი და ჯეროვანი საძირკველი არა აქვს ჩადგმული სწავლისა; ამ საძირკველს ვერ უდგამენ ვერც ჩვენი საშუალო სასწავლებელნი და ამ ნაირად ქართველი შაგირდი უნიადაგოდ რჩება თავიდამვე მკვიდრ საფუძველს მოკლებული და ამიტომაც ბოლოს ვერ ატანს ხოლმე.

სულ სხვა მდგომარეობაში არიან რუსები და სომხები: რუსის შვილებს თავიდამვე ჩვენს გიმნაზიებში თავის სამშობლო რუსულ ენაზედ ასწავლიან; სომხები, როგორც უფრო შეძლებულები, სანამ გიმნაზიებში შეიყვანენ თავიანთ შვილებს, ჯერ შინ ან სხვა სასწავლებელში ასწავლიან რუსულს, ავარჯიშებენ ამ უცხო ენაზედ და შემდეგ, რასაკვირველია, გიმნაზიაში სწავლის გაგრძობა ამ ენაზედ აღარ უძნელდებათ. ჩვენ ქართველებში კი მხოლოთ მდიდრებს, და ისიც ქალაქში მცხოვრებთ, შეუძლიანთ ისე მოამზადონ თავიანთი შვილები, რომ გიმნაზიის პირველს კლასში მიიღონ.

ჩვენის აზრით, ეს არის პირველი და უმთავრესი დაბრკოლება ქართველ ყმაწვილებისა ჩვენს საშუალო სასწავლებლებში. ამიტომაც ასეთის სიამოვნებით მივეგებეთ ჩვენი თავად-აზნაურობის განზრახვას, რომ ტფილისში და ქუთაისში ქართული გიმნაზიები გამართონ თავის ხარჯით და იმ პროგრამით, რომელიც იმის შვილების აღზრდისათვის უფრო მოთავსებული და ნამდვილ პედაგოგიას მოთხოვნილებასთან უფრო შეხამებული იქნება.

## დღიური

ჩვენს გუშინდელს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ტფ. საქალებო ინსტიტუტის მთავრობას საჭიროდ არ დაუნახავსო, რომ ქართულის ენიდამ ეგზამენია დაეჭირინებინათ იმ ქალებისათვის, რომელთაც წელს ამ ინსტიტუტში სწავლა დაუსრულებიათ.

ამ საგნისავე შესახებ ჩვენ გვაცნობებენ, რომ არც სომხის ქალებს უპირებდნენ თურმე სომხურ ენიდამ ეგზამენის დაჭერინებას; მაგრამ ამ ენის მასწავლებელმა იმდენი იმეცადინა თურმე, რომ ინსტიტუტის მთავრობა ბოლოს დათანხმებულა და კურს-შესრულებულ ქალებისათვის დაუჭერინებიათ სომხურ ენის ეგზამენი.

* * *

ერთს მოსკოვის გაზეთში („რუსსკი კურიერში“) დაბეჭდილია ერთი ამბავი, რომლის სინამდვილეზედ თვითონ ამ გაზეთსაც შემოაქვს ეჭვი და, უნდა გავტყდეთ, ჩვენც ძნელად გვჯერა. საქმე იმაშია, რომ, როგორც ამ გაზეთში იწერებიან პეტერბურღიდამ, სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვსო, რომ ისევ შემოიღოს სასწავლებლებში შაგირდების სხეულით დასჯა. სამინისტრო ახალს პროექტს არდგენს ამ საგნის თაობაზედაო. მართლა რომ ძნელად დასაჯერებელია ამ გვარი ადამის-ხნის წესის შემოღება ახლანდელს დროში, ახლანდელს პედაგოგიაში.

* * *

სახალხო განათლების სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ პეტერბურღის უმაღლეს საქალებო კურსებში მხოლოდ ისეთი ქალები უნდა იქმნეს შემდეგში მიღებულნი, რომელთაც საქალებო გიმნაზიებში სრული რვა კლასი შეუსრულებიათო.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, გასაკვირველიაო, რომ ქალაქში ამ ჟამად უანგარიშო ფქვილი აწყვიაო, შარშან ისეთი კარგი მოსავალი იყოვო, წელსაც თითქმის ყველგან კარგი მოსავალის პირი სჩანსო, მაგრამ გამომცხვარი პური კი მაინც ძველს ფასს არ იკლებს, ისევ ძვირად ისყიდებაო.

მაგიერად თევზეულის სიიეფე ცოტაოდენ შეღავათს აძლევს ქალაქის ღარიბ ხალხსა.

* * *

შორაპნის მაზრიდამ გვწერენ:

„სოფელი რცხილათი უმეტეს ათის წლისა არის დაკავებული და შერიცხული სახაზინოდ. იქ არიან დაყენებულ აბეზღჩიკად ამავე მაზრაში მცხოვრები სოფელს ჯვარი-ეწერში პავლე ქოჩერაშვილი და ტყის მცველებათ ოთხნი: სპირიდონ ბამეზარდაშვილი, ალექსი უფლისაშვილი, გიორგი ბამეზარდაშვილი და დავით უფლისაშვილი. პირველად იყვნენ ამორჩეულნი ტყის მცველებად პირველი და მეორე ზემო-მოხსენებულნი პირნი. პირველი იყო ამორჩეული თვით ლესნიჩისაგან და მეორე სოფლის მხრით და ორნი უკანასკნელნი არიან ამორჩეული და დაყენებული აბეზღჩიკის განკარგულებით.

„ამ სოფელში არ არის დიდი მთა ადგილი და ტყე და სცხოვრებენ არა უმეტეს ორ-მოცდა ათისა კომლისა; ამიტომაც აქ არ არის საჭირო ოთხი ტყის მცველი და ესენი ერთი მეორეს უყურებენ და არც ერთი ამათგანი არაფერს არ აკეთებს და სწორეთ მათზედ ყოფილა ნათქვამი ანდაზა: „ერთმანეთის მზერითაო ხახლი აივსო მტერითაო“.

„მართქვათ ვინმე მცხოვრებთაგანმა მოჭრა ტყე. მოდის ბ. აბეზღჩიკი და შეადგენს პროტოკოლს, ამ დროს ტყის მცველი დ. უ—შვილი მოდის და საწყალ გლეხ-კაცს თხოულობს რვა მანეთს: თუ მომცემ იმ პროტოკოლს უკან დავაბრუნებო, თორემ ხომ იცი, რომ რვა მანეთი კი არა ორმოცი მანეთი გეყოფაო. ჭირვებულს გლეხ-კაცს რაღა გზა აქვს, ადგება და აძლევს ფულს, რომელსაც თვითონ იდებს ჯიბეში.

„ამ ნაირათ ექცევა და აწვალებს და სჭამს სოფელს. საწყალ და გაჭირვებულ გლეხ-კაცს ეშინია ვერაფერი ვერ უბედავს: ის რომ გაიელ-გამოიელის სოფელში, გეგონება. ამ ნაირი მავნებელი ხაზინისა და შემაწუხებული მთელი სოფლისა როგორ უნდა იყოს დაყენებული სახელმწიფო სამსახურში. მიკვირს, მთავრობა რატომ არ აქცევს ამ გვარს მოქმედებას ყურადღებას. თუმც აბეზღჩიკმა კარგათ და დაწვრილებით იცის ეს გარემოება, მაგრამ ხელს აფარებს“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქიზიყი, 20 ივნისს. ამ ჟამად ჩვენში (უკანა მხარეში) მინდვრებში ხალხი დაფანტული თივების სათიბავად. წინა-მხარეში ეს ერთი კვირაა ქერები გაიჭრა და ზოგან კიდეც ლეწვენ. უკანა-მხარეში კი ჯერ ქერი არ არის შემოსული და აქაც ერთ კვირას უკან გაიჭრება და ზედ ყანებიც მოჰყვება.

ვენახებს აქეთ კარგათ ასხია, მაგრამ შიგა-და-შიგ დახმა და მომცდარი არის; რომელიც გადურჩა, საზოგადოთ კარგათ ასხია.

მაისის თვეში თითქმის ყოველ დღე წვიმები მოდიოდა, მაგრამ ეს სამი კვირა გახლავთ, ცას ნამი არ ჩამოუგდია და ძრიელ შეაწუხა უწვიმობამ, როგორათაც მინდვრის ნათესია აგრეთვე ვენახებიც და ყოველს ნაბიჯზედ ვისაც კი შეხვდებით, მაშინვე იმას შემოგჩივლებთ, რომ, თუ ამ ცოტა ხანში არ გაავდარდა, წლის მოსავალს მაგდენს ველარას გამოვრჩებითო.

---

ში, მშვენიერი სული სუფევსო“, იქნება თუ მართალი არ არი, გამართლდეს მაინც.

საღამოზედ, როდესაც მზემ რიგზედ გადიხარა დასავლეთისკენ და სოფლის სხივებით მოჰფინა გორა, რომელზედაც მრავალი შენობები მოსჩანს, ჩვენც ნელა შეუდექით ამავე გორის ვიწრო და მიგრეხილ-მოგრეხილ რიყიან გზასა. რამდენიც ზემოთ ავდიოდით, იმდენი გადმოსახედი უკეთესდებოდა. რატო პოეტი ან მხატვარი არა ვარ, რომ მთელ ქვეყანას წარუდგინო სურათი ამ სამოთხის მგზავსის მდებიარეობისა! ეპისკოპოსის სახლი, თავისის ფართო მწვანე ეზოთი, რკინის მოაჯირებით და ევროპიულის მოწყობილებით და მასთანვე ძველი ნანგრევი ეკკლესიისა აქა-იქ ბუჩქებით და ნანგრევების ხროვით, აგროვებენ ერთათ განათლების სიფაქიზეს და ქართველურ კიდევ აზიის უსუფთაობას ქვეშევრდომობისა.

აქვე გორაზედ აშენებულია სასულიერო სასწავლებელი. სამ-ეტაჟიანი უფერული შენობა. გარშემო მრავალი ბავშვები დადიოდნენ და ჟრიამული ვაჰქონდათ. მე გამაოცა ამ ბავშვების გარეთგანმა შეხედულობამ. მომატებული ამათგანი ფეხ-შიშველი იყო. ზოგს დაგლეჯილი ჩუსტები ძლივასლა ეკიდა ფეხებზე, დაფხრეწილი და ჭუჭყიანი ტანისამოსი შეადგენდა საერთო შესამოსელს.

ცოტა მოშორებით გალავანს გარეთ, ჩვენ წავადექით რამდენიმე ფიცრულის ხუხულეებს. მე ეგანი პირველში საქათმეები მეგონა; შემდეგ კი მითხრეს, რომ ეს ფიცრულები სადგომი იყო იმ სასწავლებლის მოწაფეებისა, რომელნიც აქა სწავლობენ და, სიშორისა გამო, რაღგანაც ზოგი გურიიდან, ზოგი აფხაზეთიდან და ზოგი იმერეთის შორი კუნჭულებიდგან არიან მოსულნი, ამ ქოხებში სდგანანო. თითო ქოხში სამი-ოთხი, ბევრჯელ შვიდი და რვაც უპატრონოთ თავიანთი შრომით სცხოვრებდნენ. თითონ იცხობენ მჭადს თუ ისიც-არი მიუვათ ხან-დისხან, თითონ ირეცხენ, თითონ იკერებენ, ზამთარში იტანენ სიცივესა, ბევრჯელ საშინელ სიმშილსაც; მაგრამ სწავლის სიყვარული ამათში ისე ცხოველია, რომ ამ უდაბნო გორის თავს არ ანებებენ თავს და სხვაფრივ არ იმსუბუქებენ ცხოვრებას.

აი გმირნი, ჩემის აზრით, ბავშვები, რომელნიც ებრძვიან ყოველ ფიზიკურ წარმართობას, რომ შეიძინონ გონებითა ძალა. ნუ თუ საზოგადოება ამათ თავგანწირულებას ყურს არ მიაპყრობს და შეეწეობას არ საით გამოუჩენს? ქუთაისის ბანკს უწილადნია ცოტაოდენი თავის მოგებიდგან, მაგრამ როგორც ამათი შეხედულობა ამტკიცებს, ძალიან მცირედი. ნაგლეჯებში გახვეულ პაწაწინა შაგირდებს ამ საშინელ სიმაღლეზე ამოჰქონდათ რიონიდგან წყალი. ეხლა კიდევ ზაფხულია და რა უნდა იყოს დათოვლილა და გაყინული ფერდო ზამთარში, ცივი უშეშო ფიცრული ოთახში და გამხმარი ნალვერდალში ან კეცზე გამომცხვარი ქადის ლუკმა. დაგლეჯილი ტანისამოსი, შიშველი ფეხები რა ძალას უნდა აძლევდეს ბავშვს, რომ იმან გულის ხმიანათ გაიგონოს სამეცნიერო საგნები და შეითვისოს კიდეც. რა გულით უნდა მოისმინოს და დაიჯეროს კიდეც წმინდა სახარების სიტყვა: „ირეკდეთ და განგეღოთო“. განა არ ირეკენ? მაგრამ გამღები არსაით არის! სიღარიბე არსად არ არის ისე საგრძნობელი, როგორც მოსწავლეებში და სრული უგულო უნდა იყოს ის ხალხი, რომელიც უგულისხმოთ ამ სწავლის მოწყურთ და ფუფუნებაში კი ინახავს ლიპიან ქონში მცურავ ღენარლებს.

მგზავრი ქალი.

ჩვენს სოფლურს ცხოვრებაში მრავალი ბოროტ-მოქმედება ტრიალებს, დავიწყოთ აქაური ადმინისტრაციდგან: სოფლის მოხელეებზედ ხომ ...რი რამ თქმულა ჟურნალ. გაზეთებში, რომ იგინი საძაგლად, უსინდისოდ სცარცვენ ხალხს, მაგრამ ...ობამდე მათ ყურიც არ შეუბერტყიათ, თითქოს აქ არა ამბავიაო.

მაგრამ ესენი რა გავამტყუნო როცა სიღნაღის ადმინისტრაციის ერთ-ერთი წევრთაგანი ბ. დ. ჯ—შვილი ...თზედ უარესსა შვრება. ეს არის ...ლმე ბეგარაზედ გარეკილის ხალხის ...მხედველათ დანიშნული და ამ ...ოს ეს გვამი ასე სტანჯავს ხალხს, ...მ, ვგონებ, ნერონ მეფეს ასე წმინდებიც არ უწვალებია. თუ კარგი ...დური ძღვენი მიართვა მას სოფლის მოხელემ, მაგ. კარგი ქაშნიკი, ...ქანი ინდაური ანუ ბატი და კარგი ...ტკიცული პური იქნება ცოტა შეღავათი მიეცეს ხალხს; მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში-კი თქვენი მტერი, რომ ამათი საქმე იყოს. რა ენაღვლება, როცა ბიგრები ჩნდება, ამის ...ახაროა; თითონ მშვენიერს მწვანე ...ლზედ ამქრებით დიდს განცხრომაში და შექცევაშია და თუნდ საწყალი გლეხი ხალხი სულ ერთ დღეს ...წყდეს, ამაზედ ის ბევრს არ იდარდებს.

მთელს სიღნაღის მაზრაში სულუკანისთანა საწყალი სოფელი არ მოიპოვება. ახლა უნდა მოიხსენოთ ვინ გაღარიბა ეს სოფელი, ანუ უკეთა ვსთქვათ, ამ სოფლის მცხოვრებნი. ვინ გაღარიბა და ორმა გასომხებულმა ...რთველმა გაიძვერა მაცმა. ვინ არის ეს ორი კაცი? ერთი ბრძანდება სოფ. ...რზაანის მცხოვრები ნოდაშვილი, რომელსაც ქვიან მეტი სახელი „კოშკა", ...დგანაც მართლა რომ კოშკას უგავს ...ლვაშები; მეორეც დავ. ე—შვილია, რომელსაც ორმოც წელიწადზედ მეტია რაც ამ სოფ. მახლობლად აქვს ...ქანი გამართული. ესენი ორნივე წურბელასავით სწოვენ სისხლს სოფ. სულუკაანის მცხოვრებთ. წარმოიდგინეთ, ზემოთ-ხსენებულს სოფელში ...იცხება 70 კომლი და ამ რიცხვში ვერ ჰპოვებთ ისეთს კაცს, რომ ამ ...უმაძღარი წურბლების ფული არ ...ართოთ და თვითოეულს მათგანს ...ვაჭარებთან არა ჰქონდეთ გი...ოთ თავიანთი ერთად-ერთი საცხოვრებელი—ვენახები. ისიც მოიხსენით—რა უსესხებიათ. ერთს ამათგანს უსესხებია ხუთმეტი ლიტრა ქერი; ათის წლის განმავლობაში მოვლეს ათი თუმანი მეტი ჩაუბარებია და კიდევაც ვერ დაჰხწევია ვალს. მეორეს მიუცია ოთხი თუმანი ფული ...ვა წლის განმავლობაში მოვალე ...დის ყოველ-წლივ თითო საპანე ...ვინოს და კიდევ რამდენსამე საპანე ...ვინოს მისაცემს არის და ამ ტანჯვა... ამ ცარცველებისაგან არა ერთი და ორი კომლი—მთელი სოფელი.

მკითხავები — ეს ცრუ წინასწარმეტყველებიც ჩვენში ბევრია; მდაბალი ხალხი ძრიელ უგონებს მათ; ამათი სიტყვები ხალხს სახარების სიტყვებზედ მტკიცედ მიაჩნია. ავად გახდება ვინმე თუ არა, ამის პატრონები მაშინვე მკითხავს მიმართვენ, ესენიც მაშინათვე მოადევებენ ელეთის წმ. გიორგს, გავაზასას, ალავერდს, მთავარ-ანგელოზს (ანაგაში) და სხ, ესე იგი იმ ეკკლესიებს, საითკენაც ხალხი ერთხელ-და-ერთხელ მიჩვეულა და დადის.

რასაკვირველია, ჩვენში ხალხის მკითხავებთან სიარულის მიზეზი არის პირველად მათი გაუნათლებლობა, მეორეთ მდაბალი ხალხის წამლით სარგებლობას მიუჩვევლობა; მაგრამ ამათში პირდაპირი დამნაშავენი არიან სულიერი მამები, როდესაც ესენი არ აგონებენ ხალხს და არ აძლევენ დარიგებას. მაგრამ რას ბრძანებთ, რის დარიგება, როდესაც ზოგიერთნი მათგანი ხელსაც ჰუმართვენ მკითხავებს და ბევრი კიდეც დადის მათთან საკითხავად. აი ამისთანა მღვდლები, არამც თუ თავის თავს ამცირებენ,— სხვა ღვდლებსაც არცხვენენ.

უცნობი.

## ერთი უძველესი საეკკლესიო წიგნი და სხვ.

მიდის დრო და თან შეუბრალებლივ აქრობს ყოველ ძველს, გულში იკრავს, ეხვევა ყოველ ახალს და ყველა ახალიც მალე ძველდება მისთვის. შეუბრალებელი რამ არის დრო. ცეცხლზედ და წყალზედ უფრო შეუბრალებელია...

ამას წინათ გორის მაზრის სოფ. ქვემო-ჭალაში ვიყავი. აქ ორი პატარა ეკკლესიაა. ერთ მათგანში, სადაც აუარებელი ღვაწლია დაცული ჩვენი ძველი წინაპრებისა, ძველი ხელნაწერი წიგნები შევნიშნე. დავუწყე შინჯვა.

ერთი წიგნი პერგამენტზედ ნაწერია. ფურცელი იმოდენა, რაც „ქართლის ცხოვრებას" აქვს. ეს წიგნი არის „სადღესასწაულო"; შესდგება ორი ნაწილიდან; ერთში სულ „დაბადებიდამ საკითხავებია, მეორეში „საგალობლები". სულ 774 გვერდია. დაწერილი ძველი ხუცურით.

პერგამენტი ისეთი უხეირხული შემზადებულია, ისეთი სქელი; ისეა გატყავების დროს დაჭრილი და დაჩვრეტილი, რომ უძველეს მწერლობას უნდა ეკუთვნოდეს.

შესანიშნავი მით არის ეს წიგნი, რომ ეხლანდელ ხმარებულ „სადღესასწაულოს" და მის შორის საზოგადო არა არის-რა: საკითხავები მეტია, საგალობლები სულ სხვაა, სხვა ტიბიკონზედ აგებული და ლექსებიც კი არის, მაგ. „ნათლის ღებაზედ" ერთი გრძელი ლექ ია, რომლის სათაური ასოებ-დან, ერთი მშვენიერი კილოიანი „დასდებელი" გამოდის. მეორე ლექსია, მაგრამ თავი არა სჩანს. ეს ორი ლექსი ამოსაწერი დამრჩა. მესამე ლექსი კი ამოვსწერე და აი წაიკითხავთ. ეს წიგნი მეათე საუკუნემდის უნდა იყოს დაწერილი, არა გვიან. აი ამ წიგნის ზედ-წარწერანი:

1) „ქ. მამა წმინდა ზებედე*) იყო პატრონი დიდის მღვიმის უფალი, პურადი და გულადი კელმწიფეთაგან პატივცემული და სახელოანი. ქვს, უიზ" 1729 წ.

2) „ქ. ცოდვილი დავით იყო ერთი დიაკონი, კლდეში ჩავარდა და ფეხი მოიტეხა დაშავდა. ქკს უიზ" 1729 წ.

3) „ქ. ღმერთო ღვთაებავ შემეწიე და მაცხოვნე მე ამილახვრის შვილი ოთარ".

4) „ქ. სულსა იოანესსა შეუნდნეს ღმერთმან.

5) „ქ. ღმერთო მოიხსენე ცოდვილი დიაკონი გრიგოლ".

6) „ქ. ამის მწერლისა დედასა შეუნდნეს ღმერთმან"—ხუცურად არის.

7) „ქ. მე ბევაროზ დავწერე".

8) „ქ. ღმერთო ადღეგრძელე ერისთავი შანშე**). მე დავით დავწერე ამინ".

9) „ქ. წმინდაო შიო მეოხ მექმენ..."

10) „ქ. შეწევნითა ღვთისათა ეს სადღესასწაულო გავათავე ამილახვრის დამ ეკატირინამა ა სეკტემბრიდამ მოყოლებული ვ სეკტემბრამდინ".

11) „ქ. ამისა მშრომელსა ბასილსა შეუნდვნეს ღმერთმან".

12) „ღმერთო შეეწიე გაბრიელს".

13) „სახელითა ღვთისათა და მეოხებითა წმიდისა სამებისათა და ყოველთა სათნო ყოფილთა მისთათა და ღვთის მშობლისათა ღირს ვიქმენ არა ღირსი ბასილი აღწერად წმიდისა ამის წიგნისა ღმერთმან იცის, რომელ ჩემისა უმეცრებისაგან ეგებოდა მომჭირვება; აწ ვინცა აღმოიკითხვიდეთ და იხმარებდეთ შენდობასა ღირს მყავით, რათა ღმერთმან თქვენცა ღირს გყვნეს, რამეთუ ნაშრომი ჰგიეს, ხოლო მშრომელი წარვალ გლახ: ვაიმე და დიდად ვაიმე რომელი ვთესავ ამას ცხოვრებასა სამკალად მზათ არს საუკუნესა. ესე წიგნი მე ბასილმა ბასილათა შვილმან დავწერე და დავდევ წმიდისა სამებასა წინაშე პირველ სულისა ჩემისა სალოცველად და მერმე მშობელთა და გარდაცვალებულთა და ყოველთა მომავალთა ჩემთა თვის....." ხუცურად არის.

„დიდს ორშაბათს" სტიქარონის შემდეგ: კოზმასი. ხვედრნი მხილესა ბ. გი. (თავი ასოები წითელი მელნით არის).

*) წინამძღვარი ზებედე არ არის მოხსენებული პლ. იოსელიანის „შიო-მღვიმის აღწერაში" წინამძღვრების რიცხვში.

**) ეს შანშე იყო მეორე გივი ამილახვრის მოპირდაპირე 1735 წ. ამან წაუკიდა ცეცხლი ჭალის ღვთის-მშობლის (ამილახვრის) ეკკლესიას და აიკლო. საფიქრებელია რომ ეს წიგნი შანშეს წაეღოს ახალგორს და იქ დაეწეროთ ეს წარწერა. შემდეგ გივმა აიკლო შანშეს სასახლე ახალგორში, და მაშინ დაიბრუნებდა ამ წიგნს. შანშეს თვალები დასთხარა შაჰ-ნადირმა შემდეგ.

„მივსცეთ, ერნო, დიდება დღის
უფალსა ღმერთსა ჩვენსა
ლამპრითა ბრწყინვალითა მივეგებოთ
ქრისტესა
განვიფრთხოთ მორწმუნენო ძილისა
მისგან მძიმისა
შორად განვიშოროთ ჩვენ მოწყინება
სულისა დღეს
განვამრავლოთ ტალანტი უფლისა
მრავალ ნაწილად.
მოვედით მორწმუნენო და ვიქმოდით
წყალობასა
გალობა ღმობიერი, შევწიროთ ქრისტეს ღმერთსა:
შემრაცხე მე მაცხოვარ მარჯვენით
კრავთა მათ თანა.
განსჯასა საშინელსა ნუ შემრაცხ თიკანთა თანა,
დამამტკიცე სახიერ ბრძენთა მათ ქალწულთა თანა,
სამებაო წმიდაო, მიხსენ მაქებელნი
შენნი.
მადიდებელნი შენნი გვაცხოვნენ ღვთის
მშობელო".

ეს ლექსი „იამბიკო" არ არის. იამბიკო თორმეტ მარცვლოვანია, აქ კი თოთხმეტია. იამბიკოს გარდა სხვა ლექსი იშვიათად არის საეკკლესიო წიგნებში. ამ ზომისავეა ის ორი დანარჩენი ლექსიც. როგორც ძველი მწერლობის ნაშთი, ეს ლექსი შესანიშნავია ენის მდაბიობით და სიმარტივით.

მეორე წიგნი არის „სვინაქსარი" ანუ აღწერა წმიდათა; აი მისი შესანიშნავი წარწერა:

1) „ქ. ქრისტე მფლობელო ყოველთა სოფლევათაო ადიდე შენ მიერითა კურთხევითა ორსავე ცხოვრებასა შინა ბატონი ანახანუმ და ვითარცა მათ უნდა ეგრე ახმარე სიგრძესა შინა დღეთასა წმიდა ესე და სულთ განმანათლებელი სტოდიერი ესე".

2) „ეს წმიდა სტოდიერი რაჭის ერისთვის ასულის თუთასათვის მიმირთმევია მე ორბელიანის ასულს მარიამს."

3) „დიდება ღმერთსა სრულ მყოფელსა ყოველთა კეთილთასა სრულ იქმნეს დაიწერნეს წმიდანი ესე და სულთ განმანათლებელნი წმიდა სტოდიერი ესე, ხელითა ჩემ ცოდვილისა იესე ჩხეიძისათა ბრძანებითა ზაალ ერისთვის ასულის ბატონი ანახანუმისათა; მრავალ არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი, საუკუნომცა არს ხსენება და კურთხევა მისი.

„უფალნო ჩემნო, ვინცა ვინ წარიკითხვიდეთ წმიდასა ამას სტოდიერსა ლოცვათა თქვენთა ზედა მომიხსენებდეთ. უფლისა თქვენისა სიყვარულს საწყალობელს იესეს მშობელთა და მეუღლეთა ჩემთა და ვინცა მოგვიხსენოთ, ლოცვა ყოს უფალმან თქვენთვისცა დღესა მას სიტყვის გებისასა ოდეს წარვდგეთ წინაშე მისსა შიშველნი და ქედ დარეკილნი. დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონსა ტპა: მეფობასა ერეკლესა",—1693 წ. ეს წიგნი მეტი საგანგებო მშვენიერი ხელით არის დაწერილი ხუცურად.

მესამე და მეოთხე წიგნები არაფრით არიან შესანიშნავნი.

დაუკარგველობისათვის აქედა დავუმატებ ორ ისტორიულ წარწერას მცხეთის სვეტი-ცხოვლის მსოფლიო კრებების „სჯულის კანონის წიგნი"-დან.

1) „ქ. შემოგწირე მე ვახნაძემა როინის შვილმან ბოქაულთ უხუცესმა იორამ ესე წიგნი სჯულის კანონი თქვენ წმიდასა და ცათა მობაძავსა საყდარსა სვეტსა ღვთივ აღმართებულსა კვართსა სამეუფოსა და მირონსა წმიდასა სულისა ჩვენისა სახსრად და ჩვენთათვის სადღეგრძელოდ მას ჟამსა როდეს მეფე ბატონი სვიმონ ურუმთაგან დატყვევდა *) და ჩვენ ხვანთქართანა ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყვევებული ვპოვეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად, მოვიტანეთ და შევსწირეთ სვეტსა ცხოველსა ჩვენთათვის სადღეგრძელოდ და სულისა ჩვენისა სახსრად ღმერთო და სვეტო ღვთივ აღმართებულო შეიწირე ჩვენგან მცირე ესე შესაწირავი და ნუ დაგვსჯი დღესა მას განკითხვისა ჩვენისასა ამინ".

2) „ესე სჯულის კანონი მე ანჩისხატის ქანდელაკმა დავით თამაზ-ხან რომ ქალაქში შემოვიდა **) მესამე დღეს დავიხსენ თათარისაგან სვეტი-ცხოვლისა იყო და ისევ სვეტ-ცხოველსა შევწირე სულისა ჩემისა სახსრად და ძისა ჩემისა მიქელის სადღეგრძელოდ. შენდობას ბძანებდეთ.

ეს წიგნი სამას ცხრა ფურცელია და დათვლილია განსვენებულის არხიმანდრიტის — კალიგრაფის ტარასისაგან (ალექსეევ-მესხიევი) 1831 წ.

მრავალი ნაწერებია ამ რიგადვე დაკარგული და დალუპული. რაც დღეს ნაწერებია ცნობილი ძველი ქართველობისა, ეგ ერთი მეათასე ნაწილიც არ არის მთელი მწერლობისა. ამ ნაირად გაიფანტა და ვინ იცის დღესაც ვის ხელშია ძველი ჩვენი მწერლობის ნაშთი—სტამბოლში, სპარსეთში, სამარყანდში და სხვ. რაც დაგვრჩენია, ამასაც ზოგს დრო-ჟამი გვაცლის ხელიდამ, ზოგს გვიმალვენ არა კეთილნი სულნი, ზოგი მოთალის და ზეთის-ხილის გასახვევად უნდებათ ტფილისის ბაყლებს...

*) 1600 წელს მდ. ალგეთის მარცხენა ნაპირს, ფარცხისის ბოლოს ოსმალებმა შეიპყრეს მეფე სვიმონი და სტამბოლში წაიყვანეს; მისი შვილი გიორგი და ქართველობა თავ-გამოდებით რომ ცდილობდნენ სვიმონის დახსნას, ოსმალებმა მოწამლეს და ამ მიზეზით გარდაიცვალა იგი 1602: წ. საქართველოდამ დიდი სიმდიდრე გაუგზავნეს სტამბოლში მეფე სვიმონის დასახსნელად, როგორც სჩანს ამ იორამ ვახნაძის ხელით, მაგრამ ცოცხალს ველარ მიუსწრეს და ის სიმდიდრეც იქ შერჩათ.

**) თამაზ-ხანი (შემდეგ შაჰ-ნადირი) შემოვიდა ტფილისში და დაიპყრო 1737 წელს შემოდგომაზედ თათრებით და აიკლეს.

კახეთში, მგონი ჩუმლაყში, ძველ-ნაწერი „დაბადების" ფურცლებზედ აბრეშუმის ჭიის თესლი დაეყრევინებინათ, მერე ეს თითონაც დაეფხანათ!

ამ სწორედ „დროებაში" იყო გამოცხადებული—სემინარიის პრავლენიაში ასიოდე ძველი წიგნია—და სურვილი—სია შესდგესო. სად არის ის წიგნები, რატომ სიას არ ადგენენ და არ აცხადებენ საქვეყნოდ? დავიჯეროთ თავიდამ ვერ გამოუღიათ, რომ ძველი მწერლობის პატრონი საზოგადოებაა და მან, პატრონმა, უნდა იცოდეს თვისი ავლა-დიდება, რა აქვს, რა არა? ჰმარა გულიდამ ამოსალებათ, რაც დრო ჟამმა და შემთხვევამ ამოგვაღებინა გულიდან: რაცა გვაქვს, ამას მაინც მივხედოთ.

პ. ცხვილოელი.

# განცხადებანი

—

## მაღაზია

### სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ.

(12—4)

ახალი ქართული

## ქარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

(3—3)

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

## „ლივადია"

გოლოვინის პროსპექტზედ.

(20—10)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაპიროსი 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ.

(100—92)

ქართველი **სტუდენტი** ეძებს გაკვეთილებს.

ადრესი — შავერდოვის აგენსტვოში.

(4—4)

დაიბეჭდა და ისყიდება

## ქუჩუგ

## ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისგამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და იყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

**ისყიდება**

ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

сост. Д. П. Пурцеладзе.

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

დაიბეჭდა [illegible] ბრ. ჩარკვიანის ქართული [illegible] მაღაზიაში

მამულის

საერთო მეურნეობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ბოლგარულ-ინგლისური გუთანი გოვარდისა მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ თ. ა. კეკინოვისაგან, რომელიც არის აგენტი ბ. გოვარდისა.

კანტორა ჯეჯინოვისა არის ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, დვორცოვის ქუჩაში.

(6—6)

**ტაქსა**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზე 16 ივნისიდამ 1 ივლისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5¹ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3¹ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6¹ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5¹ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

ფაბრიკა

## ძმათა ბუხთა ვარშავაში

### Братья Бухъ въ Варшавѣ

ფურცლებისა, მავთულებისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.

**ახალი ვერცხლისა** (მელქიორისა, ალფენიდისა) მივაქცევ თქვენს ყურადღებას ფურცლებზე, მავთულებზე და სუფრის მოწყობილობაზე (პრიბორზე): კოვზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის და ჩაის დესერტის ხონჩებზე (ბლუდებზე), სამოვრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, სტაქნის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა **შინაურს და საეკლესიო საგნებზე**: კანკელებზე ბარძიმ-ფეშხუმზე, სასეცხლურზე, შანდლებზე, და სხვათა საეკლესიო ნივთებზედ.

გარდა ამისა არის კიდევ სხვა სახლის **მშვენიერი მოწყობილებანი**: ლიუსტრები, ხილის და შამფანსკისათვის ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, სურები, ბაკალები, სანიცრეები და სხვ.

ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მჭიდრო დარიგიანის ხელოვნებით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ განყოფილებებში:

1) პეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 ყაზანის სობოროს პირ-და-პირ,
2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტიევის სახლებში,
3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,
4) ნიჟნი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30.

პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქთათ მსურველთ გაეგზავნებათ.

ფაბრიკა ეძებს აგენტებს რეკომენდაციით.

(12—7)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Іюня 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.